საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ამილახვარი ამირინდო ავთანდილის ძე

ამილახვარი ამირინდო ავთანდილის ძე (გ. II. 1772), ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე.

1735-იდან როგორც ამილახორი იყო ზემო ქართლის სადროშოს სარდალი და გორის მოურავი. მხარს უჭერდა თეიმურაზისა და ერეკლეს ქართლში გამეფებას. იმ დროის ქართლ-კახეთში *პოლიტ.* ვითარებათა ცვლილების გამო რამდენჯერმე დაკარგა ამილახორობა, მაგრამ საბოლოოდ დაიბრუნა იგი პაატა ბატონიშვილის შეთქმულების შემდეგ (1765). ააშენა ბერბუკის გალავანი, გაიყვანა სარწყავი არხი, შეაკეთა ციხესიმაგრეები.

ლიტ.: კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი პ., ამილახვართა საგვარეულოს ისტორიული გუჯრები, კრ.: ძველი საქართველო, ტ. 2, ტფ., 1913.

ლ. ტუხაშვილი